



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 72
26/01/2018

72-01-4-201801261617



ა(ა) იპ „ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს
წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹ მუხლის საფუძველზე გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება ა(ა) იპ „ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს (ს/კ 446951790) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.
2. მიენიჭოს უფლებამოსილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს (თეონა გეგიძე, პ/ნ 61004007919) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინოს წინამდებარე ბრძანება და მოითხოვოს აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის N30)
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

წესდება

ქობულეთი

2018 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი სკოლამდელი სააღზრდელი დაწესებულება (შემდგომში გაერთიანება), რომლის დამფუძნებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ ახორციელებს აღსაზრდელების მოვლას, აღზრდა-განათლებას, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.
3. გაერთიანება წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“.
5. გაერთიანება არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
6. გაერთიანების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.
7. გაერთიანებას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, ბლანკი, ბეჭედი, სახაზინო და საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
8. გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
9. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141.

მუხლი 2. გაერთიანების მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას; მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას; ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას; მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
2. გაერთიანება ოჯახთან ურთიერთკავშირში ზრუნავს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან, დაიცვას

მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას.

3. გაერთიანება ბავშვებს უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს.

4. გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბალებში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

5. გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბალებში ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკობრივი ნიშნის მიხედვით.

მუხლი 3. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება

1. გაერთიანება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის სახელმწიფო პროგრამების, სტანდარტების და განათლების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ასევე გაერთიანების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებით.

2. გაერთიანებას უფლება აქვს სტანდარტს ზემოთ სარგებლობისათვის აირჩიოს ალტერნატიული და ვარიანტული პროგრამების შესაბამისი ტექნოლოგიები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

3. გაერთიანების სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ფორმები განისაზღვრება შინაგანაწესით.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მონაწილენი არიან:

ა) აღსაზრდელები;

ბ) აღმზრდელები;

გ) მშობლები.

5. გაერთიანების საბავშვო ბალებში ბავშვის ჩარიცხვისათვის გაერთიანების დირექტორთან წარდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის მშობელის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) დაბადების მოწმობა (დედანი);

გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;

6. გაერთიანების საბავშვო ბალებში ჩარიცხვა წარმოებს გაერთიანების დირექტორის ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

7. საბავშვო ბალებში ბავშვის ჩარიცხვაზე უარი დაინტერესებული პირისათვის უნდა იყოს განმარტებული ზეპირი ფორმით. დაინტერესებული პირის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით.

8. გაერთიანების დირექტორი ვალდებულია აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებამდე მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი.

9. საბავშვო ბაღის აღსაზრდელის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მსვლელობის შესახებ და/ან მიიღოს მონაწილეობა მასში.

10. მშობელი (კანონიერ წარმომადგენელი) ვალდებულია პატივი სცეს საბავშვო ბაღების გაერთიანების კოლექტივის შრომას და ითანამშრომლოს მასთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე.

11. საბავშვო ბაღების გაერთიანების აღზრდელს უფლება აქვს:

ა) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა.

12. აღმზრდელი ვალდებულია:

ა) დაიცვას წესდებით, შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა მშობლებთან და მედპერსონალთან უშუალო კავშირში;

გ) დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და ეთიკის ნორმები;

13. აღსაზრდელის უფლებებს იცავს საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

14. საბავშვო ბაღში სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკის მიხედვით:

ა) უმცროსი ჯგუფი – 3-4 წლამდე ასაკის;

ბ) საშუალო ჯგუფი – 4 -5 წლამდე ასაკის;

გ) უფროსი ჯგუფი – 5-6 წლამდე ასაკის;

15. საბავშვო ბაღების სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია არა უმეტეს:

ა) უმცროსი ჯგუფი – 35 აღსაზრდელი;

ბ) საშუალო ჯგუფი – 35 აღსაზრდელი;

გ) უფროსი ჯგუფი – 35 აღსაზრდელი;

16. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შესაძლებელია თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა გაიზარდოს არაუმეტეს 5 აღსაზრდელით.

17. გაერთიანებაში შემავალ თითოეული საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1. გაერთიანების სტრუქტურა შედგება:

- ა) ადმინისტრაცია;
- ბ) ქალაქ ქობულეთის #1 საბავშვო ბაღი;
- გ) ქალაქ ქობულეთის #2 საბავშვო ბაღი;
- დ) ქალაქ ქობულეთის #3 საბავშვო ბაღი;
- ე) ქალაქ ქობულეთის #4 საბავშვო ბაღი;
- ვ) ქალაქ ქობულეთის #5 საბავშვო ბაღი;
- ზ) სოფელ ალამბრის საბავშვო ბაღი;
- თ) სოფელ გვარას საბავშვო ბაღი;
- ი) სოფელ ჩაისუბანის საბავშვო ბაღი;
- კ) საჩინოს თემის საბავშვო ბაღი;
- ლ) დაბა ოჩხამურის საბავშვო ბაღი;
- მ) ციხისძირის თემის საბავშვო ბაღი;
- ნ) სოფელ ლედვას საბავშვო ბაღი;
- ო) სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი;
- პ) ხალას თემის საბავშვო ბაღი;
- ჟ) დაბა ჩაქვის საბავშვო ბაღი;
- რ) სოფელ ქვედა კვირიკეს საბავშვო ბაღი;
- ს) სოფელ კვირიკეს საბავშვო ბაღი;
- ტ) სოფელ ქაქუთის საბავშვო ბაღი.

მუხლი 5. ადმინისტრაცია

5.1. ადმინისტრაციაში შედის;

- ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი;
- ბ) მთავარი ბუღალტერი;
- გ) ბუღალტერი;
- დ) მეთოდისტი;
- ე) მწე;

ვ) ლოგოპედი;

ზ) იურისტი;

თ) საქმისმწარმოებელი;

ი) მიმდინარე შეკვეთების მუშა

5.2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც გააჩნია გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მოქმედებს მისი სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმომადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში.

ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.

ბ) დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის.

გ) დირექტორი:

გ.ა) გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებას ღებულობს ერთპიროვნულად.

გ.ბ) პასუხისმგებელია გაერთიანების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, გაერთიანების ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე.

გ.გ) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, რომელთა შესრულება სავალდებულოა გაერთიანების ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს.

გ.დ) უფლებამოსილია დასახული მიზნების მისაღწევად დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად. ასევე უფლება აქვს გაერთიანების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის ფარგლებში, ხელშეკრულებით აიყვანოს შტატგარეშე მომუშავე და განსაზღვროს მისი შრომის ანაზღაურების ოდენობა.

გ.ე) წინამდებარე წესდების შესაბამისად, განსაზღვრული საშტატო განრიგის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული ან/და განუსაზღვრელი ვადით, ბრძანებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების თანამშრომლებს. უზრუნველყოფს კადრების სწორ შერჩევას და კანონის შესაბამისად შრომითი ურთიერთობების რეგულირებას;

გ.ვ) ანაწილებს ფუნქციებს გაერთიანების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას გაერთიანების თანამშრომლების საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშებს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე, გაერთიანების სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას გაერთიანების თანამშრომლებსა და მესამე პირებზე.

გ.ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია გაერთიანების თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები.

გ.თ) უზრუნველყოფს გაერთიანების ბიუჯეტის დამტკიცებას და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შესათანხმებლად წარდგინებას.

გ.ი) უზრუნველყოფს გაერთიანების საშტატო ნუსხას, ხელფასის ფონდის დამტკიცებას და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შესათანხმებლად წარდგინებას.

გ.კ) ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას.

გ.ლ) განსაზღვრავს და ამტკიცებს გაერთიანებაში შემავალ თითოეულ საბავშვო ბაღში სააღმზრდელო ჯგუფების რაოდენობას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

გ.მ) ღებულობს გადაწყვეტილებას გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სააღმზრდელო ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით წესდებით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

გ.ნ) გაერთიანების ურთიერთობები აღსაზრდელთან და მათ მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენლებთან) რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც გაერთიანების სახელით ხელს აწერს გაერთიანების დირექტორი.

გ.ო) ამტკიცებს გაერთიანების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს და გამოსცემს ბრძანებას მათი ფასიანი ან/და უფასო შვებულების, ან/და სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

გ.პ) ქმნის საკადრო სარეზერვო ფონდს, რომელსაც იყენებს გაერთიანების თანამშრომელთა შვებულებაში ან/და სამსახურეობრივი ურთიერთობების შეჩერების დროის განმავლობაში. საკადრო სარეზერვო ფონდის შექმნისა და განკარგვის წესი განისაზღვრება გაერთიანების შინაგანაწესით.

გ.ჟ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთათვის აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით;

გ.რ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ქობულეთის გამწვანების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

გ.ს) ანგარიშვალდებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

გ.ტ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის წარუდგენს დასამტკიცებლად გაერთიანების წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტს, წინადადებებს საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

გ.უ) ღებულობს გადაწყვეტილებებს გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც სცილდება გაერთიანების წესდებით განსაზღვრულ საქმიანობის ფარგლებს.

გ.ფ) გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით უფლებამოსილია ბრძანებით შექმნას სათათბირო ჯგუფები, კომისიები და უხელმძღვანელოს მას.

გ.ქ) შეიმუშავებს და ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს.

გ.დ) უფლებამოსილია გაერთიანების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ.ე) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

გ.შ) დირექტორის არყოფნის, ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან გადადგომის, ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შესრულება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება გაერთიანების ადმინისტრაციის მთავარ ბუღალტერს.

5.3. გაერთიანების მთავარ ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) მთავარი ბუღალტერი:

ა.ა) ახორციელებს გაერთიანების ფინანსური და ბუღალტრული მომსახურების უზრუნველყოფას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა.ბ) დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს გაერთიანების ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალებების ინვენტარიზაციის განსაზღვრულ ვადაში ჩატარებას და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვას.

ა.გ) ადგენს გაერთიანების საბიუჯეტო სახსრების და ბიუჯეტგარეშე შემოსავლების ხარჯვის წლიურ ანგარიშებს (ბუღალტრული ბალანსი), სხვა ანგარიშებს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს.

ა.დ) ამზადებს ვალდებულებების დოკუმენტებს და წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს.

ა.ე) უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მოძრაობას.

ა.ვ) უზრუნველყოფს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენას.

ა.ზ) ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის მომზადებას.

ა.თ) ახორციელებს დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელებას.

ა.ი) ახორციელებს გაერთიანების თანამშრომელთა ხელფასების, პრემიების და სხვა გასაცემლების დროულ დარიცხვას და გაცემას.

ა.კ) ახორციელებს საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშგებას, განხილვა-დამუშავებას.

ა.ლ) ახორციელებს გაერთიანების ბუღალტრების საქმიანობის კოორდინაციას, მათთვის სათანადო დავალებების, მითითებების მიცემას და მათი შესრულების ზედამხედველობას.

ა.მ) დირექტორს წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს გაერთიანების ფინანსური მდგომარეობის (მათ შორის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების) შესახებ.

ა.ნ) ახორციელებს დირექტორის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა.ო) მთავარი ბუღალტერი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;

5.4. გაერთიანების ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) ბუღალტერი:

ა.ა) ახორციელებს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის დამუშავებას;

ა.ბ) ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების, ინვენტარის, დანადგარ-მოწყობილობის აღრიცხვას;

ა.გ) ახორციელებს ქონების უწყისების წარმოებას, ცვეთის დარიცხვას;

ა.დ) ახორციელებს დაფინანსებული დოკუმენტაციის დალაგება-დამუშავებას საარქივოდ.

ა.ე) ახორციელებს მთავარი ბუღალტერისა და დირექტორის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა.ო) ბუღალტერი ანგარიშვალდებულია დირექტორისა და მთავარი ბუღალტერის წინაშე;

5.5. გაერთიანების მეთოდისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) მეთოდისტი:

ა.ა) სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეთოდურ მხარეს ხელმძღვანელობს მეთოდისტი;

ა.ბ) შეიმუშავებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამების პროექტებს.

ა.გ) შეიმუშავებს წინადადებებს ალტერნატიული და ვარიანტული პროგრამების, შესაბამისი ტექნოლოგიების შესახებ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით.

ა.დ) ახორციელებს ზედამხედველობას საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, მათ მიმდინარეობაზე. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის დადგენის მიზნით, ეტაპობრივად ატარებს მონიტორინგს საბავშვო ბაღებში და გაერთიანების დირექტორს წარუდგენს სათანადო დასკვნებს.

ა.ე) უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესის სრულყოფისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას და განსახილველად წარუდგენს გაერთიანების დირექტორს.

ა.ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხის პროექტებს.

ა.ზ) ყოველი თვის ბოლოს გაერთიანების დირექტორს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.თ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

ა.ი) მეთოდისტი ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე.

5.6. გაერთიანების მწეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა). მწეს:

ა.ა) უზრუნველყოფს გაერთიანების საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობების და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულ ექსპლუატაციას;

ა.ბ) შეიმუშავეს და აწვდის ინფორმაციას გაერთიანების მთავარ ბუღალტერს გაერთიანების მიერ შესასყიდი საქონელის ან/და მომსახურების რაოდენობრივი, ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ;

ა.გ) პასუხისმგებელია გაერთიანების საკუთრებაში და სარგებლობაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე, ძირითად საშუალებებსა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე;

ა.დ) ახორციელებს გაერთიანების შენობებისა და ტერიტორიის დასუფთავების ორგანიზებას;

ა.ე) ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე კონტროლს;

ა.ვ) ზრუნავს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების აღსაზრდელთათვის ნორმალური პირობების შექმნაზე;

ა.ზ) ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, საბავშვო ბაღების შენობებში სარემონტო და სხვა სამუშაოებზე ზედამხედველობას;

ა.თ) ახორციელებს სამეურნეო და სხვა საქონელით გაერთიანების მომარაგების ზედამხედველობას;

ა.ი) დადგენილი წესით განსაზღვრავს აღსაზრდელთა კვების რაციონს.

ა.კ) ყოველი თვის ბოლოს გაერთიანების დირექტორს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.ლ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

ა.მ) მნე ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე.

5.7. გაერთიანების ლოგოპეტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) ლოგოპედი:

ა.ა) მუშაობს საბავშვო ბაღის დირექტორის ხელმძღვანელობით, ბავშვთა ჩარიცხვის მომენტიდან ამოწმებს ბავშვების მეტყველებას 5 წლის ასაკიდან, არასწორი მეტყველების მქონე ბავშვებზე ადგენს საჭირო დოკუმენტაციას მშობელთან კავშირით, ადგენს სამუშაო გეგმას და მუშაობს როგორც ბავშვებთან, ასევე ინდივიდუალურად.

5.8. გაერთიანების იურისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) იურისტი:

ა.ა) უზრუნველყოფს გაერთიანების დირექტორისათვის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას.

ა.ბ) ახორციელებს გაერთიანების წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამართლებრივი აქტების მომზადებას

ა.გ) ახორციელებს ცალკეულ საკითხებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადებას.

ა.დ) ახორციელებს გაერთიანების დირექტორისათვის რეკომენდაციის მომზადებას ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

ა.ე) გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე ამზადებს ხელშეკრულებებს ან/და ითანხმებს მათ.

ა.ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, სპეციალური მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენს გაერთიანებას მესამე პირთან (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) ურთიერთობაში, სასამართლო ინსტანციებში და სამართალდამცავ ორგანოებში.

ა.თ) იურისტი ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე.

ა.ი) ახორციელებს დირექტორის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.9. გაერთიანების საქმისმწარმოებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საქმისმწარმოებელი:

ა.ა) უზრუნველყოფს გაერთიანების საქმისმწარმოებას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ა.ბ) ამუშავებს გაერთიანების თანამშრომლებისა და გაერთიანების აღსაზრდელთა მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზას;

ა.გ) ახორციელებს გაერთიანების თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგებას;

ა.დ) უზრუნველყოფს გაერთიანებაში შემოსული კორესპოდენციის, განცხადებების აღრიცხვას, რეზოლუციის შესაბამისად მათ დროულ დამუშავებას და შემსრულებელზე მიწოდებას;

ა.ე) უზრუნველყოფს გაერთიანებიდან გასული კორესპოდენციის რეგისტრაციას და ადრესატისათვის ჩაბარებას ან საფოსტო კავშირებით გადაგზავნას;

ა.ვ) სამსახურში ახალი თანამშრომელის მიღებისას უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის გაცნობას და საკადრო მონაცემების ბასის შევსებას;

ა.ზ) ახორციელებს მოქალაქეთა მიღების ორგანიზებას და მათთვის სათანადო კონსულტაციის გაწევას;

ა.თ) უზრუნველყოფს საქმისმწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის შენახვას და დაარქივებას;

ა.ი) საქმისმწარმოებელი ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე.

ა.კ) ახორციელებს დირექტორის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბალები

6.1. გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბალების სტრუქტურა:

ა) ხელმძღვანელი;

ბ) მეთოდისტი;

გ) პირველი ცვლის აღმზრდელ-მასწავლებელი;

დ) მეორე ცვლის აღმზრდელ-მასწავლებელი;

- ე) მუსიკის მასწავლებელი;
- ვ) მედდა (ექთანი);
- ზ) მზარეული;
- თ) აღმზრდელის თანაშემწე (მიძა);
- ი) დამატებითი საგნის მასწავლებელი;
- კ) დარაჯი;
- ლ) მწე (საწყობის გამგე);
- მ) დამლაგებელი;

6.2. საბავშვო ბაღის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი;

ა) საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი;

ა.ა) აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; მათ მიერ ორგანიზაციის წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვას და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მიმართვას გაერთიანების დირექტორის მიმართ;

ა.ბ) აწვდის ყოველდღიურ ინფორმაციას გაერთიანების მთავარ ბუღალტერს ბავშვთა კონტიგენტის მოძრაობის შესახებ;

ა.გ) პასუხისმგებელია საბავშვო ბაღში მატერიალური ქონებისა და პროდუქტების ხარჯვის ანგარიშების სწორად წარმოებაზე;

ა.დ) აღსაზრდელის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) განუმარტავს მომსახურების პირობებს;

ა.ე) ვალდებულია დაიცვას აღსაზრდელის ყველა ის უფლება, რომელიც მას მინიჭებული აქვს ბავშვთა უფლებათა კონვენციით;

ა.ვ) პასუხისმგებელია გაერთიანების მიერ რეკომენდირებული მეთოდოლოგიის დანერგვაზე საბავშვო ბაღში;

ა.ზ) მონაწილეობს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, აკონტროლებს მის სრულყოფილ დანერგვას ჯგუფებში დასწრებით, ატარებს თათბირს.

ა.თ) პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობების დაცვაზე, კვების ორგანიზებაზე.

ა.ი) ხელს უწყობს აღსაზრდელის სიცოცხლის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და მონიტორინგს უწევს მის განხორციელებას;

ა.კ) მონიტორინგს უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელის საბავშვო ბაღის გარემოში სრულყოფილ მონაწილეობას;

ა.ლ) ზედამხედველობას უწევს საბავშვო ბაღის საქმიანობაში მშობელის ჩართულობის უზრუნველყოფას;

ა.მ) ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის საქმიან და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

ა.ნ) გაერთიანების დირექტორს წარუდგენს ანგარიშს დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესახებ;

ა.ო) ვალდებულია ყოველთვიურად გააცნოს აღსაზრდელის მშობლებს (კანონიერ წარმომადგენელს) საბავშვო ბაღში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ა.პ) ვალდებულია დაიცვას აღსაზრდელის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ა.ჟ) ვალდებულია კონტროლი გაუწიოს საბავშვო ბაღში ჩარიცხული აღსაზრდელების პირადი საქმეების წარმოებას;

ა.რ) ყოველი თვის ბოლოს მართავს შეხვედრებს საბავშვო ბაღის კოლექტივთან, ისმენს მოხსენებებს და იძლევა რეკომენდაციებს;

ა.ს) პასუხს აგებს საბავშვო ბაღის გამართულ ფუნქციონირებაზე;

ა.ტ) ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე;

ა.უ) ახორციელებს დირექტორის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა.ფ) საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას ხელმძღვანელისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებისას, გაერთიანების დირექტორი აკისრებს ამავე სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთ თანამშრომელს ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შესრულებას.

6.3. საბავშვო ბაღის მეთოდისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მეთოდისტი:

ა.ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამების პროექტებს და წარუდგენს გაერთიანების მეთოდისტს.

ა.ბ) აკონტროლებს საბავშვო ბაღში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას.

ა.გ) ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე;

ა.დ) ახორციელებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის დავალებებს და სხვა უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს პირველი ცვლის თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის პირველი ცვლის აღმზრდელი-მასწავლებელი:

ა.ა) საფუძველს უყრის აღსაზრდელის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

ა.ბ) პასუხისმგებელია თავისი ჯგუფის თითოეული აღსაზრდელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ა.გ) აღსაზრდელებთან მუშაობისას ხელმძღვანელობს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებით;

ა.დ) მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდება თავისი ჯგუფის თითოეული აღსაზრდელის ინტერესებსა და საჭიროებებს;

ა.ე) მეთოდისტის ხელმძღვანელობით და სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით შეიმუშავებს და განავითარებს ჯგუფის დღიურ განრიგს, გრძელვადიან სასწავლო პროგრამას;

ა.ვ) ყოველთვიურად აბარებს ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელს;

ა.ზ) მუშაობს მშობლებთან აღსაზრდელების აღზრდის საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში დამატებით სთავაზობს აღმზრდელობით, შემეცნებით მასალას.

ა.თ) ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებისათვის სასურველი გარემო პირობების შექმნას;

ა.ი) აკონტროლებს თავისი ჯგუფის აღსაზრდელთა დასწრებას და აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში;

ა.კ) ასრულებს საბავშვო ბაღის მედდის მოთხოვნებს, რაც დაკავშირებულია აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებასთან.

ა.ლ) წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეთოდურ მხარეს; მეთვალყურეობას უწევს აღსაზრდელის განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას;

ა.მ) სისტემატიურად ახდენს საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებისათვის აუცილებელი სათამაშოებისა და სხვა ინვენტარის შემოწმებას და კოორდინაციას უწევს მათ განახლებას; ვალდებულია ყოველთვიურად განსაზღვროს იმ სათამაშოების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროა აღსაზრდელების სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისათვის და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ხელმძღვანელს;

ა.ნ) ვალდებულია წელიწადში ორჯერ აღსაზრდელების განვითარების პორტფოლიოზე დაყრდნობით მოამზადოს წერილობითი რეკომენდაცია აღსაზრდელის მიღწევების, სირთულეების, სამომავლო მიზნების შესახებ;

ა.ო) საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი პირველი ცვლის ანგარიშვალდებულია ხელმძღვანელის წინაშე.

ა.პ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.5. საბავშვო ბაღის მეორე ცვლის აღმზრდელ-მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მეორე ცვლის აღმზრდელი-მასწავლებელი:

ა.ა) პასუხისმგებელია თავისი ჯგუფის თითოეული აღსაზრდელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ა.ბ) აღსაზრდელებთან მუშაობისას ხელმძღვანელობს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებით;

ა.გ) მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდება თავისი ჯგუფის თითოეული აღსაზრდელის ინტერესებსა და საჭიროებებს;

ა.დ) პასუხს აგებს თითოეული ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ა.ე) დაიცავს ბავშვთა უფლებები;

ა.ვ) საბავშვო ბაღის მეორე ცვლის აღმზრდელ-მასწავლებელი ანგარიშვალდებულია ხელმძღვანელის წინაშე.

ა.ზ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელისა და პირველი ცვლის აღმზრდელ-მასწავლებლის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს

6.6. საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწეს (ძიძა) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა):

ა.ა) აღმზრდელის თანაშემწე შინაგანაწესით განსაზღვრულ საათებში პასუხს აგებს მასზედ განპირობებული აღსაზრდელებზე, რომელსაც ის იბარებს სიით და პირველი ცვლის აღმზრდელ-მასწავლებელს აწვდის ცნობებს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ;

ა.ბ) აღმზრდელის თანაშემწე იცავს ჯგუფში არსებულ წესებს და ვალდებულებებს;

ა.გ) მიაქვს საჭმელი ჯგუფში, კვების წინ აღსაზრდელებს ეხმარება მაგიდის გაშლაში, საკვების ულუფებად დალაგებაში, კვების დროს ზის აღსაზრდელებთან, მათ ეხმარება დამოუკიდებელი და სოციალური უნარების განვითარებაში;

ა.დ) ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესები, დაიცვას ბავშვთა პირადი ჰიგიენა;

ა.ე) ვალდებულია ყოველდღიურად ზრუნავდეს სათამაშოების მილაგებაზე და სველი წესით თავის ჯგუფში სისუფთავის დაცვაზე; უზრუნველყოფს სათამაშოების აღსაზრდელებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას განლაგებას;

ა.ვ) მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდება თითოეული აღსაზრდელის ინტერესებსა და საჭიროებებს; ასრულებს საბავშვო ბაღის მედლის მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია აღსაზრდელის ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებასთან; ვალდებულია დაიცვას აღსაზრდელის უსაფრთხოების საჭირო წესები;

ა.ზ) თითოეულ აღსაზრდელთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის პიროვნულ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებს; ყველა აღსაზრდელის მიმართ ახორციელებს ანტიდისკრიმინაციულ მიდგომებს;

ა.თ) ვალდებულია აღსაზრდელებთან ურთიერთობისას დაიცვას ბალანსი და ყველა აღსაზრდელს თანაბარი დრო და ყურადღება დაუთმოს;

ა.ი) აღმზრდელებთან ერთად პასუხს აგებს ჯგუფის კუთვნილ სათამაშოებზე, სამუშაო მასალაზე, წიგნებზე და საერთოდ ჯგუფის ქონების დაცვა-შენახვაზე, მის სისუფთავესა და მოვლა-პარტონობაზე;

ა.კ) აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა) ანგარიშვალდებულია აღმზრდელ-მასწავლებლის (1-ლი, მე-2 ცვლის) წინაშე.

ა.ლ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელისა და აღმზრდელ-მასწავლებლების ცალკეულ დავალებებს და მითითებებს

6.7. საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელი:

ა.ა) აახორციელებს ბავშვთა მუსიკალურ აღზრდას, საბავშვო ბაღის წესდების, შინაგანაწესის და პროგრამულ მეთოდურ-მითითებათა Dშესაბამისად;

ა.ბ) მუშაობს საბავშვო ბაღის თითოეულ ასაკობრივ ჯგუფთან კვირაში სამჯერ იმ მუშაობის ჩათვლით, რომელსაც ის ატარებს ბავშვებთან და აღსაზრდელებთან. აგრეთვე გართობის, საღამოების მოწყობისა და დღესასწაულების დროს;

ა.გ) ატარებს მუსიკალურ მეცადინეობას გეგმის მიხედვით, რომელიც შედგენილია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელებთან ერთად;

ა.დ) ასწავლის საბავშვო სიმღერებს, მუსიკალურ თამაშობებს და ცეკვებს, მშობლებს უწევს კონსულტაციას მუსიკალური აღზრდის საკითხებზე;

ა.ე) მუსიკის მასწავლებელი ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე.

ა.ვ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს

6.8. საბავშვო ბაღის დამატებითი საგნის მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის დამატებითი საგნის მასწავლებელი:

ა.ა) საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებისა და პედაგოგების შეთანხმებით უზრუნველყოფს არჩეული საგნის სწავლებას.

ა.ბ) აახორციელებს ბავშვთა დამატებითი საგნის შესწავლას, საბავშვო ბაღის წესდების, შინაგანაწესის და პროგრამულ მეთოდურ-მითითებათა Dშესაბამისად;

ა.გ) დამატებითი საგნის მასწავლებელი ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე.

ა.დ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.9. საბავშვო ბაღის მედდას (ექთანს) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მედდა (ექთანი):

ა.ა) ახორციელებს აღსაზრდელის ფიზიკური განვითარებისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს;

ა.ბ) საბავშვო ბაღში აღსაზრდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას, რასაც აღრიცხავს სამედიცინო ინტერვენციის ფურცელში;

ა.გ) ამოწმებს საბავშვო ბაღში არსებულ სამედიცინო ყუთს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამედიცინო პრეპარატის და ნივთის არსებობას;

ა.დ) მეთვალყურეობას უწევს აღსაზრდელის პირად ჰიგიენას: ფრჩხილებისა და კანის სისუფთავს, კანზე გამონაყარის არსებობას, თავის თმიან ნაწილის შემოწმებას პედიკულოზზე (დატილიანება), ისე რომ ზიანი არ მიადგეს აღსაზრდელის ინტერესებს;

ა.ე) მეთვალყურეობას უწევს საბავშვო ბაღის მთლიან შენობას, განსაკუთრებით ჯგუფის ოთახებს, სამზარეულოს, საპირფარეოს, სამრეცხაოს, ეზოს სანიტარულ მდგომარეობას;

ა.ვ) ვალდებულია იცნობდეს კვების ნორმებს, ბავშვთა საკვების დამზადების ძირითად წესებს;

ა.ზ) მონაწილეობას იღებს მენიუს შედგენაში; თვალყურს ადევნებს საკვების მომზადებისას სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას და საკვების გაცემას თითოეულ აღსაზრდელზე გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად;

ა.თ) ამოწმებს დღის რეჟიმის შესრულებას, ბავშვთა კვების ხარისხიანობას;

ა.ი) აუცილებლობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარებას უწევს საბავშვო ბაღის თანამშრომლებს და შესაბამისად აღრიცხავს მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ჟურნალში;

ა.კ) აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას როგორც აღსაზრდელების, ასევე თანამშრომლების შესახებ;

ა.ლ) მუშაობს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელთან შეთანხმებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით, სისტემატურად აწვდის მას ინფორმაციას აღსაზრდელებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ა.მ) ექთანი ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე.

ა.ნ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.10. საბავშვო ბაღის მზარეულს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მზარეული:

ა.ა) საბავშვო ბაღის რეჟიმის შესაბამისად უზრუნველყოფს საჭმლის თავის დროზე და ხარისხიანად მომზადებას. აღსაზრდელებზე გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად მომზადებული საკვების გაცემას.

ა.ბ) მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში, მენიუზე დაყრდნობით იზარებს საკვებ პროდუქტებს. პასუხს აგებს სამზარეულოს, ჭურჭლისა და მთელი ინვენტარის სანიტარულ მდგომარეობაზე.

ა.გ) ვალდებულია იცოდეს კვების ნორმები, კვებისა და კულინარული ნაწარმის ხარისხისადმი არსებული მოთხოვნები, ბავშვთა რაციონალური კვების საფუძვლები, მენიუს შედგენის წესი,

პროდუქტების აღრიცხვისა და გაცემის წესი, ნედლეულის გახარჯვის ნორმები, პროდუქტების შენახვის ვადები და წესები.

ა.დ) ვალდებულია საკვების მომზადებისას დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ა.ე) ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ა.ვ) მზარეული ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე.

ა.ზ) ასრულებს გაერთიანების დირექტორის, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.11. საბავშვო ბაღის მნეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის მნე:

ა.ა) ახდენს საბავშვო ბაღის ქონების ინვენტარიზაციას;

ა.ბ) მონაწილეობას იღებს აღსაზრდელთა კვების მენიუს დაგეგმვაში;

ა.გ) აღრიცხავს და აკონტროლებს საბავშვო ბაღში სამეურნეო, საკანცელარიო, კვების, თეთრეულის არსებული მარაგის მოძრაობას და ყოველი თვის ბოლოს ხელმძღვანელს წარუდგენს სათანადო ინფორმაციას;

ა.დ) პასუხისმგებელია სამზარეულოში პროდუქტების გაცემაზე;

ა.ე) ყოველდღიურად აწარმოებს პროდუქტების ნაშთის აღრიცხვიანობას; აკონტროლებს გაცემული პროდუქტების რაოდენობას;

ა.ვ) აკეთებს ყოველდღიური მენიუს ფაქტურას აღსაზრდელების რაოდენობის (საუზმე, სამხარი, სადილი) მითითებით;

ა.ზ) ამზადებს ყოველდღიურ მოთხოვნას საკვებ პროდუქტებზე, სანიტარულ და სხვა საქირო საქონელზე.

ა.თ) პასუხისმგებელია საბავშვო ბაღის სამეურნეო ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-დაცვაზე;

ა.ი) ზრუნავს საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის ნორმალური პირობების შექმნაზე;

ა.კ) ზრუნავს საბავშვო ბაღის მუშაკთათვის შრომის სათანადო პირობების შექმნისათვის.

ა.ლ) კონტროლს უწევს საბავშვო ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური კვების მდგომარეობას, საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანამშრომლის, მზარეულის, მედდის, დამლაგებლის, დარაჯის მუშაობას;

ა.მ) მნე ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის წინაშე.

ა.ე) ასრულებს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.12. საბავშვო ბაღის დამლაგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის დამლაგებელი:

ა.ა) საბავშვო ბაღში დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური წესები და ნორმები.

ა.ბ) უზრუნველყოს სველი წესით საბავშვო ბაღის შენობის (ოთახები, დერეფანი, დარბაზი) დალაგება და მიმდებარე ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

ა.გ) სააღმზრდელო პროცესის დასრულების შემდეგ ამოწმებს ჯგუფების სველი წერტილების სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობას და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებას.

ა.დ) დამლაგებელი ანგარიშვალდებულია საბავშვო ბაღის მნეს წინაშე.

ა.ე) ასრულებს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის, მნეს ცალკეულ დავალებებს და მითითებებს.

6.13. საბავშვო ბაღის დარაჯს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების დირექტორი.

ა) საბავშვო ბაღის დარაჯი:

ა.ა) ვალდებულია არ დაუშვას უცხო პირების მოხვედრა ბაღის ეზოსა და შენობაში.

ა.ბ) ვალდებულია ყოველდღე შეამოწმოს ეზოს უსაფრთხოება, ღობე, საფარი.

ა.გ) ვალდებულია დაიცვას შენობის უსაფრთხოება;

ა.დ) ვალდებულია იცოდეს სახანძრო სამსახურის, საპატრულო პოლიციის და სასწავლო სამედიცინო დახმარების საკონტაქტო ნომრები და საჭიროების შემთხვევაში გამოიჩინოს ოპერატიულობა. შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია დაუყოვნებლივ აცნობოს მათ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 7. გაერთიანების ქონება და დაფინანსება

7.1. გაერთიანება დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ მისთვის კანონით დადგენილი წესით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

7.2. გაერთიანების საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები.

7.3. გაერთიანების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებით მიღებული სახსრები;

გ) საქველმოქმედო სახსრები;

დ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული სახსრები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები;

7.4. ამ მუხლის 7.3. პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები მთლიანად ხმარდება გაერთიანების მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება რაიმე სხვა მიზნით აკრძალულია.

7.5. გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

7.6. გაერთიანების საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება მის საქმიანობას, ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი

8.1. გაერთიანების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. გაერთიანების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.

8.3. გაერთიანების საქმიანობის კონტროლი მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

9.1. გაერთიანებას უფლება აქვს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) გადაცემული ქონების გასხვისება;

გ) გადაცემული ქონების იჯარით გაცემა;

დ) განსაზღვროს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი;

ე) სხვა გადაწყვეტილებები გაერთიანების ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

9.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ითანხმებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ და სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხების ფინანსურ გეგმებს.

მუხლი 10. გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან/და აკრძალვა

10.1. გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

10.2. თუ გაერთიანება არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.

10.3. სასამართლოს მიერ გაერთიანების საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს გაერთიანების რეგისტრაციას.

მუხლი 11. გაერთიანებას რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. გაერთიანებას რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. გაერთიანების წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

გაერთიანების წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი:

მირიან ქათამაძე